ოქმი:**ო63. 6326141001**
თარიღი:**21/05/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 14

ქ. სამტრედია. 20 მაისი, 2026 წელი.

2026 წლის 20 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2026 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N8-63.63253584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის , „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N**გ-63. 632535810** განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №გ-63.632535824 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

6. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N**გ-63. 632535815** განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

7. ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან (მოწესრიგებასთან) დაკავშირებით.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

8. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

9. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

10. ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. სატრანსპორტო საშუალების (მარკა-HOWO, ტიპი-ცისტერნა/TANK, მოდელი-ZZ5125GSS3808Y, საიდენტიფიკაციო ნომერი-LEZAB1DC3SF092850, რეგისტრაციის ნომერი-KX784XK) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–438724212) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 353.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 242.8 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.002, საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 16.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.1017) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე 3500.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

15. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133113 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,N1 სახელოვნებო სკოლის'' 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურების გეგმა მცირდება 1.0 ათ. ლარით, შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის გეგმა იზრდება 1.0 ათ. ლარით (აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია საავადმყოფო ფურცლის გამო).

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133111 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შრომის ანაზღაურების გეგმის შემცირებას 20.0 ათ.ლარით, შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის გეგმის გაზრდას 20.0 ათ.ლარით (დეკრეტული შვებულებისა და ბიულეტინის გასაცემად).

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133112 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ა(ა) იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი ,,ფენიქსი''-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. არაფინანსურ აქტივებში გეგმით განსაზღვრული იყო 80,0 ათ. ლარი სტადიონზე ტრიბუნის მოსაწყობად, დღემდე ვერ განხორციელდა პროექტის შესყიდვა. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი ,,ფენიქსი''-ს ხელმძღვანელი ითხოვს, აღნიშნული თანხით ბიუჯეტის მოწესრიგებას და მუხლობრივ ცვლილებას. კერძოდ, არაფინანსური აქტივის გეგმის შემცირებას 2,7 ათ. ლარით და შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის გეგმის გაზრდას (რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი.)

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N 62-6226133109 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, დანართ N1-ში შესატან ცვლილებებს. კერძოდ,

მცირდება:

მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 100 000 ლარით;

მუხლი 3. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 200 000 ლარით;

შესაბამისად იზრდება:

მუხლი 1. ახალშობილთა დახმარება - 200 000 ლარით;

მუხლი 2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 100 000 ლარით;

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N 62-6226133110 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში განხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ შვილის შეძენის შემთხვევაში მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილებზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა იმ ახალშობილის მშობლებზე, რომლებიც, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, რეგისტრირებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ხოლო ერთი მშობელი მაინც, რეგისტრირებული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის

დაბადებამდე. ასევე ოჯახი ფაქტობრივად უნდა ცხოვრობდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში.''

ა.ბ) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ''-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ა.გ) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, რომ ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;''

ა.დ) პირველი მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ზ^{1}''-ქვეპუნქტი:

,,ზ^{1}) სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.''

ბ) მე-14 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესაბამისად:

ა) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად და საყოფაცხოვრებო ნივთები, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით;

ბ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 8 000 ლარის ოდენობით;

გ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული და საყოფაცხოვრებო ნივთებით, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 6 000 ლარის ოდენობით;

დ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 4 000 ლარის ოდენობით;

ვ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) საყოფაცხოვრებო ნივთებით, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 4000 ლარის ოდენობით;

ზ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 2 000 ლარის ოდენობით;

თ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა, სადაც არ ცხოვრობს, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით.''

ბ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მცირეწლოვანი ბავშვები და სრულწლოვანი პირები, რომლებიც მკურნალობენ საზღვარგარეთ, მათ შორის, ონკოლოგიური დაავადებებით - ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, მელანომა; თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია; ქვედა

კიდურების ატროფია; სქოლიოზი - გამოხატული ნეკნოვანი კუზით; ავარიის შედეგად მიღებული ტრამვების რეაბილიტაცია; შვილოსნობასთან შეუთავსებელი დარღვევები - დაავადებები, ქალისა და მამაკაცის დაქვეითებული ფერტილობა, რომლებიც საჭიროებენ გინეკოლოგიურ ან რეპროდუქტოლოგიურ მკურნალობას; სხვა მძიმე დაავადებები; გაეწევათ გარკვეული თანხით დახმარება, არა უმეტეს 5 000 ლარისა. მოქალაქემ მკურნალობის შემდეგ უნდა წარმოადგინოს, მერიის მიერ ჩარიცხული თანხის გამოყენების ანგარიში. სავალდებულოა ბენეფიციარი რეგისტრირებული იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდეს 200000-ს ან უნდა წარმოადგინოს მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული შუამდგომლობა მოქალაქის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133117 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება შპს „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურების გეგმა მცირდება 3.0 ათ.ლარით და შესაბამისად, არაფინანსური აქტივების გეგმა, ძირითადი აქტივები იზრდება 3.0 ათ.ლარით. (კომპიუტერის დაზიანების გამო, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 8 აპრილის*** N62-622609859 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62-62260922 02/04/2026 ბრძანებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დაზუსტებას. კერძოდ: გაიზარდა (კოდი 01 01 02) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები) გეგმა 24 795 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: **ინფორმაცია**, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან (მოწესრიგებასთან) დაკავშირებით, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 აპრილის*** N 62-622611893 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვა, მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პედიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

2026 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 5 604.9 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 2 796.7 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 2 808.2 ათას ლარს.

2026 წლის 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 1,684.6 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 891.0 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 9,377.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8,681.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 92.6%.

შემოსავლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 9,357.0 ათასი ლარი, ფაქტიურად 8,664.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 92.6% და მთლიანი - შემოსულობების 99.8% შეადგინა.

გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 6,559.5 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 5,394.4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1,165.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 5,720.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 5,196.9 ათასი ლარი) 523.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 839.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 641.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 328.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 281.2 ათასი ლარი;

- კაპიტალური ტრანსფერი - 47.0 ათასი ლარი (თანხა ათას ლარებში);

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 1,420.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1,776.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 125.1%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 720.3 ათასი ლარი) შედარებით 1,056.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 17.1 ათასი ლარის შემოსავალი - არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 17.1 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ.

2026 წლის 3 თვეში გადასახდელების შესრულების 70.4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 11.7%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2025 წლის 3 თვესთან - 11,306.6 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 3,516.0 ათასი ლარით ნაკლები და შეადგენს 7,790.6 ათას ლარს.

2026 წლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 3 თვეში შეადგინა 11,061.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7,790.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.4%-ია.

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,146.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1,110.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 16.2%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,295.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 915.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 13.4%-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4,619.5 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 3,824.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 56.0%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 34.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 3.2%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.02%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 835.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 797.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 11.68%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 507.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 182.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 35.9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 2.7%-ს შეადგენს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,433.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 43.6 პროცენტია.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 979.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 66.7 პროცენტია.

- **განათლება (პროგრამული კოდი - 04 00)**

განათლება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,629.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.0 პროცენტია.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,241.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 78.9 პროცენტია.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,113.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.5 პროცენტია.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,393.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.8 პროცენტია.

- **სარეზერვო ფონდი**

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან არ განხორციელებულა თანხის გამოყოფა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ, მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133114 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025

წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ზოგიერთი ოჯახის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 1 მაისის N886 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის, (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სრულად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციის გაცემის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 1 630.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს **(06 03 კოდი) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების სხვა ხარჯების გეგმა -** 1 630.0 ათასი ლარით.

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე, განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

შემცირდეს შემოსულობების ნაწილში სულ - 582.0 ათასი ლარით:

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 300.0 ათასი ლარით;

- რენტის გეგმა - 250.0 ათასი ლარით;
- სანებართვო მოსაკრებელის გეგმა - 32.0 ათასი ლარით;

გაიზარდოს და მოწესრიგდეს შემოსულობების ნაწილში სულ - 2,811.4 ათასი ლარით:
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - 82.0 ათასი ლარით;
- ჯარიმები, სანქციები და საურავების გეგმა - 2,729.4 ათასი ლარით;

ასევე, განხორციელდეს ცვლილება გადასახდელების ნაწილში, კერძოდ:

შემცირდეს სულ - 230.0 ათასი ლარით:

- (03 03 კოდი) დასუფთავების საქონელი და მომსახურების გეგმა - 100.0 ათასი ლარით;
- (05 01 02 06 კოდი) ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 80.0 ათასი ლარით;
- (01 02 01 კოდი) სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს - 2,459.4 ათასი ლარით:
- (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 863.8 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმა - 38.6 ათასი ლარით;
- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 615.7 ათასი ლარით;
- (02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 90.0 ათასი ლარით;
- (05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 171.3 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (04 05 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის არაფინანსური

აქტივების ზრდის გეგმა - 550.0 ათასი ლარით.

- (04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 120.0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- (06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 2.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სხვა ხარჯების გეგმა.

- (05 01 02 06 კოდი) ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 2.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა;

- (06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 300.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (06 02 03 კოდი) დედათა და ბავშვთა დახმარების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 300.0 ათასი ლარით;

- (02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 83.6 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

-(01 01 01 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს 11.0 ათასი ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 აპრილის*** N 62-622611897 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ/შ, მიმდინარე წელს ფინანსდებული მოთხოვნილი თანხა ლარში	მ/შ, თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები
1	ქალაქ სამტრედიაში, მდინარე ცხენისწყლიდან კონსტიტუციის ქუჩამდე ხელოვნური სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	200,000.0	190,000	10,000	2026 წლის ივლისი-დეკემბერი
2	სოფელ ჭაგანში მდინარე ჭურთავაზე სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები (გაგრძელება)	250,000.0	237,500	12,500	2026 წლის ივლისი-დეკემბერი
3	სოფელ ბაშში, ე.წ. შუა ბაშში (ინეზა კიკვიძის ჩიხი) სანიაღვრე არხის გამაგრება ქვის ჯებირით	20,000.0	19,000	1,000	2026 წლის ივლისი-დეკემბერი

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 აპრილის*** N 62-622611360 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ,,სატრანსპორტო საშუალების (მარკა-HOWO, ტიპი-ცისტერნა/TANK, მოდელი ZZ5125GSS3808Y, საიდენტიფიკაციო ნომერი - LEZAB1DC3SF092850, რეგისტრაციის ნომერი KX784XK) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი– 438724212) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო ნომერი–438724212) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადასცეს სატრანსპორტო საშუალების (მარკა-HOWO, ტიპი-ცისტერნა/TANK, მოდელი-ZZ5125GSS3808Y, საიდენტიფიკაციო ნომერი-LEZAB1DC3SF092850, რეგისტრაციის ნომერი-KX784XK).

- **ა(ა)იპ** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–ს სატრანსპორტო საშუალების (მარკა-HOWO, ტიპი-ცისტერნა/TANK, მოდელი-ZZ5125GSS3808Y, საიდენტიფიკაციო ნომერი-LEZAB1DC3SF092850, რეგისტრაციის ნომერი-KX784XK), თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო ნომერი–438724212) არსებობის ვადით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 აპრილის*** N 62-622611359 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 353.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 242.8 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.002, საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 353.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (განაშენიანების ფართი 242.8 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.002, განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 57000 (ორმოცდაჩვიდმეტიათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 აპრილის*** N 62-622611358 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.1017) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის განთავსებისთვის, უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ არასასოფლო–

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 16.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.1017).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის*** N62-6226133115 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე 3500.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე 3500.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 53000 (ორმოცდაცამეტიათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 20000 (ოციათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2026 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-63.63253584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის , „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N**g-63. 632535810** განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №g-63.632535824 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N g-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

6. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N**g-63. 632535815** განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

7. ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან (მოწესრიგებასთან) დაკავშირებით.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

7. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

9. ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

10. სატრანსპორტო საშუალების (მარკა-HOWO, ტიპი-ცისტერნა/TANK, მოდელი-ZZ5125GSS3808Y, საიდენტიფიკაციო ნომერი-LEZAB1DC3SF092850, რეგისტრაციის ნომერი-KX784XK) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–438724212) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 353.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 242.8 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.002, საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 16.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.1017) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე 3500.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 22 მაისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი